ხოლმე. ამისი სახლში შენახვა და მოთმენა ალარ შეიძლე-  
ბოდა. მშინ შეუდგა გივი იმის სასწავლებელში გაგზავნას  
და დაუპირა რუსეთს კორპუსში გაგზავნა, რადგანც ამას იმა-  
ზედ მაღლა სასწავლებელი ალარ ეგონა. მაგრამ ეფე მიამ  
თავი გადაიკლა, რომ მაგის ავრე შორს გაგზავნას ვერ აფი-  
რანო. მეტი ლონე ალარ იყო, გივიმ მისცა თავისი სეიმო-  
ნი ერთს მახლობელს კეთილშობილს პანსიონში..

სეიმონი აյ მალე ამოითვალწუნეს პანსიონის მეუფრივე-  
ებმა. სეიმონი არამცოთ არავის არ უთმენდა თავის თავზედ

შოუენებულს უსამართლობას და თავისის ცხარის სიტყვებით სისხლს ყელში ჰგვრიდა უფროსებს და ის კიდევაც ესარჩლებოდა ხოლმე ყველა თავის ტოლებს, რომელიც შიშით ხმას ვერა სცემდნენ უფროსების ყოველ რიგს ბიაბრობასა და უპატიურობაზედ. იქამდინ შეაძლა სეიმონშა უფროსებს თავი, რომ ერთმა ზედამხედველმა (*Падишатеъ*), რომელიც იყო სალდათთაგანი და ბოლოს ჩინი მიეღო, ამას თავისის შხვმიანის სიტყვებისათვის ერთხელ ორთავ ყურები ნახევრობამდინ აახია, და ინსპეკტორმა იმდენი სცემა როზგით, რომ მთელი ორი თვე უგონოთ იწეა საავათ-მყოფოში. ბოლოს ამ სასწავლებლის დირექტორი გამორიცხა სასწავლებლიდამ, როგორც მავნე მთელის სასწავლებლისათვის და მეუფროსეთ შეუპოვარი ყმაწვილი, და აცნობა გიეს ბადლაძეს, რომ წაეყვანა თავისი ზული სასწავლებლიდამ; მაშინ გიეიმ აღარცე ჰკითხა ეფემიას და გაისტუმრა რუსეთს \* \* \* ლიცეიში, რადგან კორპუსში გაფზავნის დრო აღარ იყო.

სეიმონს არ უყვარდა უქმათ ყოფნა და ის ყოველთვის უთუოთ რასმე აკეთებდა. ის კითხულობდა ბევრს წიგნებს, მაგრამ ძეირათ თუ სასწავლებელს წიგნებს, რომელსაც კლასებში ასწავლიდნენ, ხელში აიღებდა. მინამ პანსიონში იყო, მოულობდა რაცალას გასართობ მოთხრობაებს, ზღაპრებს, ლექსებს და ისრე ამბებს კითხულობდა. როდესაც გადავიდა ლიცეიში, იმან მალე მიჰყო რიგიან საკითხაეს წიგნებს ხელი და დაუდო სწავლასაც თავი. როდესაც წიგნებით მოილალებოდა სეიმონი, უჭირელათ ან ჩხირ კედელაობდა საღმე რასმე, ან მართავდა სხუა და სხუა დაწყობილებაებ ამნანგო-

გმი და ყოველს დაწყობილებაშივი უფრეს უფრეს მოთავე ეს იყო. თუმცა ამხაგობაში ყოვნა უყვარდა და კიდეც უყვარდა ამხანაგები, მაგრამ ძნელათ თუ ვისმე დაუხლოვდებოდა. ამის დაღვრემილს სახეს, გაუცინარს პირს, და ცხარს სიტყვებს ერიდებოდნენ ყველანი და ათასში თუ ვინმე დაუხლოვდებოდა ამასა, მშინაც სეიმონი თუ ერთი ბეწვაც არის ცუდს ზნეს და თვისებას შენიშნავდა, ისრეთი სიტყვებით გაჰყიცხავდა და დასცინოდა, რომ ისინიც მალე ჩამოეცლებოდნენ ხოლმე. თუმცა ამის დაახლოვებას ყველა ერიდებოდა, მაგრამ საზოგადო რამ საქმე ამხანაგობაში უამისოთ არა თავდებოდა; ყველა ამხანაგობაში ეს ირიცხებოდა შეუსყიდველ მართლის მთემელათ და სწორე მოსამართლეთ. ტოლებში ასრეთი იყო სეიმონი, მაგრამ პატარაებში და დაჩაგრულს ამხანაგობაში უფრო სხურა იყო. სადაც კი მიუწვდებოდა თვალი, ყველგან ესარჩელებოდა ამათ, როგორც ამხანაგებში, ეგრეთვე მეუფროსეებთან. ამისაგამო აქ უფრო სხურა ფრივ უყურებდნენ სეიმონს და ქსენი უფრო გაბედვით იყვნენ სეიმონთან, მაგრამ მეუფროსეებთან არც აქ იყო კარგათ სეიმონი. თუმცა აქაური მასწავლებლები და პრაფესორები ჰქედავდნენ სეიმონში ნიჭს, მაგრამ არც ამათ მოსწონდათ ამისი მოუხეშმავი ხასიათი, მოსხეპილი სიტყვები და გაუცინარი სახე. სეიმონი ცდილობდა როგორმე აღმოეფხერა თავისი გულიდამ ის სიძულვილი, რომელსაც ის გრძნობდა თავის მეუფროსეშეცედ. მაგრამ ვერ დარეოდა ამ გრძნობას. ის ყოველ თავის მეუფროსებში ჰქედავდა თავის მტერს, რომელსაც შეეძლო ყოველს შემთხვევაში გაემწარებინა ამისთვის წუთის სოფელი და მოეთელა ფეხვეებში

მისი კაცობრიერი ღირსება და გრძნობა. ის ცდილობდა, რომ დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ ყველა მეუფროს ისრეთი არ არის, როგორც ამას ეჩვენება; მაგრამ რამდენიც უფრო სცნობდა ეს მეუფროსებს, იმდენი რწმუნდებოდა, რომ ამისი გულის გრძნობა არ ატყუებდა ამას და თვით ის მეუფროსენიც, რომელნიც ისრე მშეიღობიანათ და მეგობრულათ გამოიყურებოდნენ, თვით ისინი სხვეზედ უარესი იყვნენ, თავის უნცროსებს და კელ ქუპითებთან, როცა დრო მიეცემოდათ. რაი ეს ასრე უყურებდა მეუფროსებს და თავის ამპარტავანის ხასიათით არც თავს იდრევდა ამათ წინა, რაღა თემა უნდა, რომ ამათ შორის სიტყბოება და სიყვარული ძნელი იყო. ბევრჯელ დაუპირეს სვიმონს გამოგდება სასწავლებლიდამ თავისის ხასიათისთვის, მაგრამ ამის ნებს პატივსა სცემდნენ და ცოტა ორ იყო, რომ კიდეც ეშინოდათ ამისი; ერთ თუ არ მოგვითმინოს ამან ეს ამბავი და ბიაბრობა გვაჭამოსო. ბოლოს მაინც კიდევ არ ასცდა სეიმონს ეს ამბავი. რაი პატარა წამორჩარდა, თავზედ კელი მოისვა და დაიწყო საუკეთესო წიგნების კითხვა, ეს აღარ სჯერდებოდა ლექციებში ცარიელ პროფესორის სიტყვების წარმოთქმასა და ხშირათ სთხოვდა რომ თავისი სიტყვები კიდეც დაემტკიცებინათ საფუძვლიანათ. ამასზე ხშირათ ემართებოდათ ბაასი ამასა და მასწავლებელსა და რაი ძმელათ მოხდებოდა, რომ იმათ დაემტკიცებინათ და შეეჯტრებინათ სეიმონის სურვილი, რასაც კრეელია, სეიმონი ხშირათ შესთავაზებდა ხოლმე ამათ თავის გესლიანს სიტყვებს და ამით გამოჰყავდა მოთმინებიდან პრაფესორები, რომელთაც თავისი თავი შეუცდომელი რამ ეფონთ. ამ გვარად ერთხელ

მოუვიდა სეიმონს შეჯახება ისტორიის პროფესორთან, რომელიც ირიცხებოდა ფრიად მცირნე კაცად და ამისი სიცუკუა სწორეთ სოლომონის ბეჭედი იყო მთელი ლაცეისათვს „თქუმნ მოუმზადებლათ მოდიხართ ლექციებზედ და ამის გულისათვს ჩუმნ თქუმნის სიცუკუებით ყოველთვს მოცუკუებული ვართო.“ უთხრა იმ ლაპარაკში ამას სეიმონმა. ამ მეცნიერმა ვერ მოითმინა ის უპატიურობა, რომელიც მიაუნა ამ სიცუკუებით იმას სეიმონმა, რომელიც არა რწმუნდებოდა ამისგნით წარმოადგენილს საბუთებს თავის აზრების დასამტკიცებლათ; ამაზედ მოსთხოვა პროფესორმა სოვეტს სეიმონის გამორიცხა ლიცეიდამ. სეიმონს ხუთი თვე ლა აკლდა კურსის დასრულებამდინ, რომ გამორიცხეს.

ამან სთხოვა მამას ფული, რომ გამოეგზავნა სამზღვარს გარეთ სასწავლებლათ წასასვლელათ; მაგრამ უარი მოუვიდა.

„თუ შენ კარგი შვლი ყოფილიყავ, — სწერდა მამა ამასა, შენ მანდედამ არ დაგითხოვდნენო.“

სეიმონი დაბრუნდა შინ. აქ გივი და ეფემია უპირებდნენ ამას ცოლის შერთვას, და რაღა თქმა უნდა, რომ კალებიც საკმაო იყენენ; კარგი ოჯახის შვლები, ლამჩქები და კარგი შზითვის პატრონები; მაგრამ სეიმონმა თავისებურად გადაწყვეტით უთხრა მამას, რომ ჯერ ცოლისთვს არა მცალიან და არც თქუმნს ამორჩეულს ქალს შეეირთაო.

სეიმონმა დაჰყო ერთი ოთხიოდ წელიწადი სოფელში. (გივი სამსახურში აღარ იყო) საღაც ნახევარზედ სულ გლეხობაში იყო. ის ხშირათ დაღიოდა გლეხების სახლებში

და უგლებდა იმათ ქსოვერებას ყუჩას; დაზღვედა სალაშობ-  
დინ ს. მუშავზედ, ლამე ხარში, ტყეში, სარწყავში და სხუ. უ-  
გლებდა მაწებს ყუჩას, დაპქონდა მინდორზი რაღაცა წი-  
გნები, სხირევავდა სხუ და სხუ მიწების, უგლებდა ყუჩას  
რა მიწაში რა მოსავალი მოდიოდა, რა მიწას რა მოვლა  
უხდებოდა, დადიოდა ტყესა და ლიქმი დაფიქრებული და  
ყოველ კლდეს, ყოველს ხეს შინჯავდა და სწერდა რა ალა-  
გას როგორი მცენარე იზრდება, რა ალაგას რა უფრო ხ-  
რობს, რა ალაგას რა მოუხდებათ და ხშირათ თითო კე-  
რაობით არ მოდიოდა სეიმონ შინა. „გავიმუჟება!“ სწუბ-  
დნენ გივი და ეფემია. „ეგ ერთი შვლი მოგეცა ღმერთმა  
და ეგეც აგრე გავიუბედურა!“ მაგრამ პირში თქმას ძნე-  
ლათ უბედაედნენ, რადგან ეშინოდათ იმის გემრიელ პასუ-  
ხებისა.

ბოლოს სეიმონი ჩამოვიდა აქ, ეითომპ, მაშის თხოვნით  
სამსახურზი შესასვლელათა, მაგრა სამსახური ფუქრათაც არა  
ჰქონდა. ის უჯდა დღე და ლამ ფრანციულსა და ნემენ-  
ცურს წიგნებსა, მათემათიკასა და ბუნების საგნებსა და  
ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ საშზღაუს გარეთ წასულ-  
იყო „როდის ექნება ამ მამი ჩემის სიცოცხლეს ბოლო, —  
ფიქრობდა ის ხშირათა, თორემ აჩც თითონ იყენებს ქონე-  
ბასა არც სხუას აყენებს!“

4.

ეს დრო იყო სწორეთა, როდესაც მე სეიმონი გაეცანი.  
პირველს დროს, როგორც ჭემოთაცა ესთვევი, ჩანამ გა-

ვიცნობდი მე სეიმონის ხასიათსა, ძალიანა ვხტოდი მე იმის სიტყვებზედა, და როგორც ეტყობოდა, ისიც კიდევ ვერ მიცნობდა მე, და მეც ის თავისებურათ მიყურებდა. მე ხშირათ ვფიქრობდი, რომ ცალკე დავმდგარვიყავ, მაგრამ როგორლაც კიდეც მენანებოდა ამისი დშირება და კიდეც მინდოდა ამერიკა, თუ რა კაცი იყო. იმისი ქცევა მე კარგს აჩრჩედ მაყენებდა იმის შესახება.

ერთხელ მე დაებრუნდი საღამოზედ შინ დაღალული და რაღაცა კარგს გუნებაზედ ვიყავი. სეიმონი რაღასაცა სწერდა. მე დავიწყე დაბლა ლილინი.

— ოჟო! დაიწყო გალობა! — წაიბუტბუტა სეიმონმა.

მე ვითომც არ გამიგონია, — ისევა ვღილინებდი.

— აბა ერთი ა ბა ლ მ ჯ ა ნ შემოსხახე, რაღა!

— რა? კიდევ მოგიარეს! — შეუტიე მე გაცხარებულმა, ის ხომ ძნელია როდესაც კაციკარგს გუნებაზეა და ამ გუნებას წაუხდენენ.

— რატომ! სამღერალი ბევრი გაქტს და! ... სხუა ფიქრი შენთვს რა საჭიროა? ...

— ახა ღმერთო! ... სიმღერაზედაც ბაჟია! ...

— მე ჯერ შენთვს არა მცალიან! — გამაწყვეტინა იმანა და დაიწყო უფრო ჩქარა წერა იმ რიგათა, რომ რაც უნდა მცპასუხნა, ის აღარ გაიგონებდა.

მე გაველ ჩემს ოთახში და დავეგდე კრავატზედ. აქ გამიტაცა მე ათასნაირმა ფიქრმა. პირველი საფიქრელი მე ჩემი თავივე მქონდა. ჩემი მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. რამტენიც ვაკეირდებოდი ჩემს თავსა, იმდენი უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მე რიგისანის ცხოვრებისათვს სრულებით გამჭალება არა მქონდა. „რას გვასწავლიდნენ, — ვფიქრობდი

მე,—ჩეცნს სასწავლებელში? რისთვის დავკარგე მოელი შეიღი  
რვა წელეწადი აქ ტყვილათა? რა გამოვიტანე იქიდამ ცხო-  
ვრებისათვის? არც ჩემის თავისათვის, არც სხეისთვის მე გამო-  
საყენებელი არა ვარ... ვინ იცის რამტენი უნდა ეუშრომო  
ახლა, რომ კაცი შევიქნე... ახლა რამდენი დაბრუოლება უძევს  
ამას წინა!...“ ყოველ რიგი ცუდი მხარე ჩემის ცხოვრები-  
სა სულ ეხლა წარმომიდგა თვალწინა და ამირია გულში  
ნალველი.

— ხომ არ გამოივლი კიდევა? — უცებ წარმომადგა თავსა  
და მეოთხა სეიმონშა.

— დავიღალე ცოტა, — უპასუხე მე.

— მაშ არ წამოხეალ? რო წამოსულიყავ იმისთვის ალა-  
გებში შეგიყვანდი, სადაცა ლირს შესვლათა.

— მაშ წავიდეთ.

მე წამოვავლე ქუდს კელი და წავედით. სეიმონშა შემი-  
ყვანა ერთს ყრუ ქუჩაში და შემიყვანა ერთ ისეთს მურტლი-  
ანს დუქანში, სადაც სიმყრალით კინალამ სულთ შეგვი-  
გუბდა.

აქ ერთს ოთახში იჯდა ოთხი რუსი და მლეროდნენ.  
მეორე ოთახში ისხდნენ იმერელი მუშები.

— Какъ ты думаешь — ჩეითხა ჩემეზე კომა რუსა მეორეს. —  
Французы или гличанинъ.

— Нѣмецъ! — უფხრა იმან დარწმუნებით.

— . . . Нѣть, не правда.

— А я тебѣ говорю, что — нѣмецъ.

— А я тебѣ говорю, что — неправда.

— Ты хранчузъ, или нѣмецъ? — მოუბრუხდა და ჰერხებს  
იმ რუხა, რომელიც აძრევებდა ჩემს ნემეცობას.

— Грузинъ, — უნდა ხვიმონხა.

— Врешь ты! — Да сё Жуужуртова Куба та зовётся бургаком.

— А зачем же ругаться?

— Армянин ты соленой.

— Да я сё Жемчужина Елена! — Уткариш Мир Свадебна; Физо-  
дят, твоу лмуртоти გწამს, თორემ ერთს ხათაბალის გადვი-  
ცვამთ.

— Да я сё Женя ахал амис ლაპარაკს ყური. **Нельзя врешь**  
я не армянин а грузинъ.

— Армянинъ, ты.

— Неправда.

Да я сё Рустама Монифа.

— Ладно ли я Гаяне? — Упред Монушанда Свадебна Мир-  
дундес.

— Гаხлакет.

Рустама Гаბրუნда Гонгадишвили.

Ну и Степанеци Мирчаре Таташвили и Шевцова Никитина Ладно ли я.

— Ну и Елена, Женя баумана Аксана Шевцова! — Елена Ахалакиашвили  
и Меркуловы Ертмашвили.

— Ну и да, Елеонора Мас Ожабко.

— Ну и да Моника Гладких Тужубян?

— Ну и да Альбина Лмуртоти Мисси Тагиева, Рустама Бахтияровна  
Фукулова Миронова, Султан Миронова Тиграна.

— Ахал алас Женя Шевцова Гуздечная Пондзиашвили?

— Ну и да Лмуртоти Миронова Рустама Тагиева, Рустама Бахтияровна  
Егорова Рустама Рустамова.

— Да! Алас Женя Шевцова Рустама Тагиева, Рустама Бахтияровна  
Кадиевна Ахматовна Ахматовна Рустама Рустамова — да Мирчаре Мирчаре  
Бахтияровна Султан Миронова Тиграна.

— შენ, ქვე, მარტო ხარ, არეინ გაწუხებს შენი თავის  
მეტი, მე რა უნდა ვქნა! იმოდენა ბალლები, თავს მახველია,  
რა პასუხი უნდა გავსცე მათ.

— ნეტამც არ იქნება, კაციყლა, ხელმწიფებ მართლა  
ბარონებისა გადააგდოს!

— რავა გჯერა შენ მისთანა უუწესელი საქმე!

— ეჭ, აწი აგრე ამბობენ, თვარა...

— კი ამბობენ მარა... დაუჯერებელი არ უნდა დეიჯე-  
როს.

— კოლმწიფე თუ მოინდომებს, კაციყლო, რავა გრუქირდება.

— კელმწიფე რავა მეინდომებს ღურთის დაწესებულის სა-  
ქმება!

— იქნება კი გაურისხდეს უსამართლო ბარონებს?

— კი გოურისხდება, შე კაცო!

— იმე გაუქირდება??

— რავა გოუქირდება ერთი ყარტლიანი ჩინაურის გარი-  
სხება, მარა იცის მან გლეხეაცის უსამართლობა.

— კი! კაი მოუკა შენს თავს!... მე აწი შემიტყვია, რო-  
მე კელმწიფე ჩუმათ დადის და სუსველის ამპავს იგებს.

— კი უადრებს შენს ყარტლიანს ქოხში შემოსველის.

— იმე! ყარტლიან სახლში რავა შევა! ისტო ჰყითხავს  
მართალის კაცა.

— კაი მოუკა შენს თავს....

ამ დროს შემოგვესმა მეორე ოთახში ჩხუბი. რუსები  
აღარ აძლევდნენ შედუქნეს ფულებსა, თუ არ ვიცი მეტუ-  
ქნე, მეტსა სოხოვდა, რუსები იწევდნენ საცემრატა, მაგრამ  
ფეხზე დგომის თავი აღარც ერთს არა ჰქონდა, ერთი რუ-

სი ეგდო კუთხეში და თაეისგნით გარევილს ბატქებში წაეყო ცხეირ-პირი, სამი რუსი ებლლარძუნებიდა მეღუჯნეს და მიათრევდნენ პოლიციში.

— Пойдем въ позицію, — крикнулъ якъо.

— Ташни яго... ташни! — сказали ѣдакъо ცხვი წაეფიდъо რეზо.

— Мене полиція — молиція ни знаимъ.. давай топи денгу, послѣ хотъ губернаторъ да пайдонъ.

— Я რომъ ეს ჩხუბი იყო, ერთი გამოგდებული სამსახურიდამ ჩინოვნიყი იდგა, თითი შუბლზედ მიედო; ცალი კელით დალაბრას ებჯინა, უყურებდა ჩხუბსა და ლაპარაკობდა.

— Вота! это значитъ... тоге... და я იმან დაფუქრებით თითი აილო შუბლიდამ, თითქო ეს არის ახსნა ქაჯთა მეფის ქალის გამოცანაო.

— Эй землякъ, — крикнулъ якъо იხ. ამ ვიცი მეჩეუბრებსა, თუ ვისა: это.. примерно сказать.. все одно.. и таки все одно, и.. Гrrrrуу... вотъ, что...

— Аხლა ეს ვიღას ელაპარაკება?.. მიუბრუნდი მე სეიმონსა.

— Тავის დარდსა და ვარამსა.

— გახეთქილია?

— ვინ იცის, დარდი და ვარამი აწევს გულზედა და მაგ გახეთქილი თხშობს თავის მწუხარებასა.

— საკურეველია, სადამდინ მიაღწევს ზოგჯერ კაცი.

— Сადამდინ მიაღწევინებენ თქო! — сказала გესლით სეიმონმა: ამა ჩაუკეირდი მაგასა რითია სხვაზედ ნაკლები; ახლა შევისწავლე მაგის ცხოვრება და ნახავ, რომ ეგ სხუაზედ უარესე არ არის, მაგრამ რაკი ერთი მიუქინებია კაცს ყოველ რიგი უბედურება, რაკი ერთი კაცი მოექცევა კაცა და ცხოვრებას ფეხ ქუმშა, ძნელათ თურა აუდგება. ვინ იცის

მაგას თავის ნუგეში და საყვარელი ცოლშვლი რა მწუხა-  
რებასა და შეწუხებაშია; ვინ იცის რა მოთმინებასა და მდ-  
გომარეობაში ჰყავს მაგას თავისი თაფი და თავისი საყვა-  
რელნი, და რაკი ველარა უშველია რა, ეტ აუტანია დარ-  
დი და უპოვნია ნუგეში სასმელში, სადაც კაცი ჰყარგავს  
კაცურს გრძნობასა და შეიქნება პირუცკეთ უარესი.

ჩუბნ წამოვედით დუქნიდამა. მოვარე ამოსულიყო და  
ნათელოდა. ღამე შეუბნიერი იყო.

**—Давай па водку!—**წამოგვადგა თავს ერთი მოვრალი  
ოცსტაენოი სალდათი.

არც მე და არც სეიმონს ხურდა არა გვეკონდა და ხმა  
არ გავეცით.

იმან შემოგვიყურთხა.

—არა, რას გვემართლება, რომ ერთი კარგები მოუხერ-  
ხოს მაგას კაცმა! წარმოვსთქვი მე გაჯავრებითა.

სალდათი დაგვედევნა უკან და გვაგირებდა უწყალოს პირითა.

მე ბრაზი მომივიდა.

—დაეხსენ იგინოს,—მითხრა მე სეიმონმა:—ეგ მაგითი  
ჩუბნედ ყრილობს ჯაერსა, რისაგანაც ეგ არის აგრე დამ-  
ცრობილი და დაჩაგრული.

იმანა გვდია ჩუბნ გინებითა, მინამ სხრა არ შეხვდა,  
რომელსაც დაუწყო ფულის თხოვნა.

მოერჩით იმას და გამოვედით სამშვიდობოსაცა. ჩუბნ  
გამოვედით ერთს პატარა მეიდანზედ. ერთი პატარა ბალკო-  
ნიანის სახლიდან შემოგვესმა ზევიდამ კისეისი ქალებისა. ჩუბნ  
შევიხედეთ ზევითა, უ იდგა ორი ქალი ბალკონზედ გადმო-  
უდებულები, და თითქო ჩუბნ არა გვხედამენო, ხარხარე-

ბლენ უფრო კიდევ ხმა მაღლა. მთეარიანს ლამეში ისინი  
სჩანდნენ ლამჩებათა.

—შენ არ იცნობ მაგათა? — მყითხა მე სციმონშა.

—არა, უპასუხე მე.

—მოღი ერთი მაგათაც ვეწვივნეთ.

—მერე იცნობ შენა?

—არ ვიცნობ, მაგრამ ახლა გავიცნობ!

—იქნება ვინ არიან!

—არა . . ,

და აյ სციმონი შეუდგა კიბესა. მეც უნებურათ გატყევ  
იმას თანა. მე დამიწყო როგორლაც საძაგლათ გულმა ცემა.  
პირველი იყო, ჩემი ამ გვარ სახლებში წასვლა. ძელი არ  
არის ხამობა! მე თითონ არ ვიცოდი იმ ჟამათ რათა ვგრძ-  
ნობდი გულში.

როდესაც ავედით ბალკონზედ, ქალები შინ შესულიყვნენ;  
სციმონშა შეაღო კარები თითქო თაერი სახლიარ და შევიდა,  
მეც შევყე. მაგრამ ავენთე თონქესაეითა: ასრე შეონია ქვე-  
ყანა მე მიყურებს და დამცინის მეთქი.

ორი ლამჩი ფერუმარილ წასმული ქალი ისხდნენ რგ-  
ვალს სტოლთანა, დივანზედ. იჯდა ერთი სქელი შებერი,  
ლაშებ გაღმობრუნებული და ბაყაყივით თვალებ გაღმიუ-  
ჭული ბებერი დედაყაცი. სციმონშა ჩამოართო ხელი და დაჯდა ერთს თაერი მო-  
წონებულთან.

მე გაჩერებული დაკლევ იქ შორიახლო ერთს შათ-  
რიაბასთან და დაუწყე შინჯვა. მთელი ოთახი ზაქსე იყო  
შეატრობაებითა. ვინ იცის რა შათრობაები არ იყო აქა!

აბრააში, როდესაც ისაუ მოაქნეს შსხევრალათა; ტიტველა სუსანა და სხურა მშესწიერი ქალყრმანი, პოტიომინი ნაბად-ზედ წამოწოლილი ერთს რომელდასაც ბრძოლის დროსა და სხურა.

სეიმონმა გამომიარა გვერდით ერთის ქალითა.

—შენ რაღას დაგიღია პირი?

მე მანეც გაჩერებული ვიდექ და არ ვიცოდი რა უნდა მექნა. მთელს ტანზედ მასხავდა ციცს ჭირის თველსა, გონება მეონდა ამღვრეული.

მე რომ ამ მდგომარეობაში ვიდექი აქა, უცებ გაელოკარები და შემოვიდა ერთი მშესწიერი ქალი. ის იქნებოდა თხუთმეტისა, ან თექვსმეტის წლისა, გამბდარი, მინაზებული სახე, შავი, სიგამხდრისაგან ჩაცვიენული თვალები წარმოსა-თქვამდნენ რაღაცა უიმედობასა და უქმაყოფილებასა. იმისი მიმოხვრა, მოძრაობა და სიარული წარმოსთქვამდნენ ხასი-ათის სიმტკიცესა.

ამის დანახვაზედ მე მოვედი გონებაზედ. „დავიჯდო ესეც ამ სახლს ეყუთვნის მეთქი?“ ვითქმი მე.

ის მიეიდა და უქმაყოფილოთ მისცა ფული ბებერს ბა-ყაყის თვალებიანს დედაყაცა.

მე მაშინვე გამიელვა გონებაში, რომ აქ ერთი რამ უნ-და იყვეს მეთქი. მე არა მჯეროდა, თუ ის უხასიათობით და სურვილით ჩაერდა ამ სახლში.

რამდენიც უფრო ჩავაკირდი, იმდენი უფრო შევნიშნე, რომ ის მართლაცა და მშესწიერი რამ იყო. შავი კუნაპე-ტი თვალები ეშიით გამოელავდნენ და გამოვირთოდნენ, სქე-ლი ხუჭუჭი გიშერჩედ უფრო ელვარე თმა ეყარა მხრებზედა.

თუ ამისი ვითარება არ გავიგე, არ იქნება მეთქი, ვაჟიქრე  
და მივედი იმასთან. ამაზედ იმან ერთი ასეთის თვალით შეც  
მომხედა, რომ თითქო მრისხანებაცა სჩანდა ამ შეხედვაში  
და შემრალებასაც მთხოვდა.

— ესეც თქუმნს სახლს ეუფორნის? — ვკითხე მეობებებრე  
დედაყაცა.

— ღიას, ხომ არ მოგეწონათ, ყმაშვლო კაცი? მე  
მე არა უპასუხერა, მხოლოდ წამოვიყვანე ას ქალი.

## 5.

მე რომ ის წამოვიყვანე, ის ისეთის ზიზღით, და გაეიცა  
ხეით მიყურებდა, როგორც ქართველი კნეინა, უყურებს  
თავისედ დაბალის კაცის ცოლსა, რომელიც ცდილობს,  
რომ გაუტოლდეს მათს ბრწყინვალებასა. მე ისრეთი გაეხდი,  
რომ სირცეეილისაგან ოფლში ვიწურებოდი. ეხლა რომ წა-  
რმოვიდგენ ხომ მაშინდელს ამბავსა, უნდა საცოდავი რამ  
ვყოფილვიყავ იმ ყოფაშია.

ის უნებურათ, სალმრთო ცხვარივით მომდევდა მე. ჩეც  
რომ გაედით მეორე ოთახში, იმას შეენიშნე თვალებზედ  
ცრემლი და ერთი საშინელი ამოიოხრა.

მე საშინლათ ავირიე.

— მე მევირს, თქუმნ როგორ ჩავარდნილხართ ამ სახ-  
ლში? მიუბრუნდი მე იმასა.

— რაში გევითხებათ! — მეითხა მე იმან გულდამწერათა  
და უსიამოგნოთა; — თქუმნ ხომ სიამოვნით ატარებთ თქუმნ  
დროსა და სხვისა რა დარღი გაქვთ.

— მე გთხოვთ, მე ისრე მიყუროთ, როგორც თქუცი ძმასა. მე ძალიან მინდა შევიტყო თქუცი ამბავი... მე არა მჯერა რომ თქუცი თქუცის სურვილით იყვეთ აյ შემოსული.

— რა გამოვიდა, თუნდ ჩემის ნებითაც არ ვიყვე?. . .  
· · · და აյ წასკდა ტრიილი.

მე საშინლათ შემებრალა.

— მაშ რა იყო თქუცი ჩავარდნის მიზეზი?

— მე გამყიდეს ისე, როგორცა ჰყიდიან თხასა, ცხვარსა, ძროხასა და სხრა საქონელსა.

— ვის შეეძლო თქუცი გაყიდვა? ან ვინ გაბედავდა ამ დროში მაგ დასამცრობელს და გონების ასამლვრევს საქმეს.

— კიდეც ეგ არის, რომ დაუჯერებელი საქმეა და არცა-რავის სხრასა სჯერა და ჩემი მოგონილი ჰგონიათ.

— მე დიდათ დამავალებთ თუ შემატყობინებთ.

— მაშ ყური დამიგდეთ, მაგრამ ჩემი ამბავი გრძელი კია.

— ერთის სიტყვით, რამოდენაც უნდა იყვეს, — უნდა მი-ამბოთ, მე ყურს გიგდებთ.

— კარგი!.. მაშ დამიგდეთ ყური. იქნება თქუციც სასაკი-ლოთაც არ გეყოთ ჩემი ამბავი, მაგრამ თუ ადამიანის გული გიძევს და გამოგივლია რამ მწუხარება, მიხვდები იმ საშინელს მწუხარებასა, რაც მე გამომიელია ჩემს სიცოცხ-ლეში. და თუ ცოტაც არის გიცხოვრია ქვეყანაში, ჩემი ამბავი ტყუილი და მოგონილი არ გეგონება.

„ეე!-ვიფიქრე ჩემს გონებაში: — სჩანს მართლა რომ ბე-ვრი მწუხარება და ამბავი გამოუცდია, რომ ასრე ჭკვიანუ-რათა სჯის მეთქი ასე ყმაწვილი ქალი.“

→ მე გთხოვთ, რომ ისრე მიყურებდეთ, როგორც თქ-

უცნს ღვიძლს ქმას, შეგობარს და მახლობელს და დარწმუნებული იყავით, რომ მე მიეხედები თქუცნს მწუხარებას, და დავაფასებ თქუცნს მდგომარეობას... მეც თკოთონ ბევრი გამომიცდია ჩემს ცხოვრებაში და ვიცი, რაც მოულოდნელი მოსავალი მოდის კაცის თავსა და რა ამბავიცა პნდება შეწუზებული კაცის გულშია.

— ვაშ მიგდეთ ყური. აი რა იყო მიზეზი ჩემი აქ ჩა-  
გარდნისა:

მაშას ამბავიცა

„მამა ჩემი გადმოვიდა თუ არა რუსეთიდამ, განწესდა  
ჩეცის მხარეს (მშამ მიაშპო მამის ვინაობა და ისიც სა-  
დაურიც იყო) ერთს ჩეცის სოფლის მახლობლათ მყოფს  
ქალაქში. მამა ჩემი იყო კაი შესახედაობის ყმაწვილი კაცი. დედა-  
ჩემი ირკცხებოდა მთელს ჩეცნს მხარეზედ პირველს მშვე-  
ნიერებაში (ეს მხარე განთემულია შპუცნიერებითა). დედაჩე-  
მი იქნებოდა მაშინ თხუტმეტ-თექვესმეტის წლისა. ამ ჟამათ  
სადღაცას ენახა მამაჩემს დედაჩემი და გადარეულიყო იმისი  
შპუცნიერებითა; დედაჩემსაც მოსწონებოდა ძალიან მამაჩემი,  
თუმცა ვერა ბედავდა თავის გულის თქმის გამჟღავნებასა.

მამა ჩემმა სთხოვა პაპაჩემს დედაჩემი; მაგრამ უარი მი-  
იღო, „სხურა სჯულს მაინც არ შიესცემ ქალსა, თუნდა დე-  
ნერალი იყვესო!“ ეპასუხნა იმასა და ხომ მოგეხსენებათ  
ჩეცნს ყრუ აღგილებში როგორუცურებენ სხუარჯულ კაცებსა..

მამაჩემს როგორდაც მოეგვარებინა და გაექცია დედაჩემი  
ჯვარის დასაწერათა. პაპაჩემი მოკვდა ამ მოულოდნელის  
ეჭვდისაგან (იმას კიდევ ის უფრო აწუხებდა, რომ იმისი

ახალი სიძე მარხეას არ ინახავდა, და მაშასადამე იმისი ჭუჭა-  
ში ქრისტინიც აღარ იქნებოდა), ბეპიაჩემი კი ცოცხალი  
აღარ იყო მაშინა: ძმები და დები სრულებით არა ჰყოლია  
დედაჩემს.

„მე ისევ პატარა ვიყავო, როდესაც მამაჩემი გადმოიყვა-  
ნეს აյ სამსახურში. რვას წლისა მიმაბარეს მე ერთს ქალების  
პენციონში, სადაც მე დავრჩი ოთხი წელიწადი; მასუკან გა-  
მოაგდეს მამაჩემი სამსახურიდამ და რაკი აღარა ჰქონდა  
ღონისძიება, რომ ეძლია ჩემი ფული პენციონისათვს, გა-  
მომიყვანა იქიდამა.

„ჯერ სამსახურიდამაც არ იყო დათხოვნილი, რომ მა-  
მაჩემმა შეიცვალა დედაჩემზედ გული, და ისრე შეიძულა,  
რომ თვალის დასანახავათაც ეჯავრებოდა. რაცკი მე ჩემს  
თაეს მოესწრებივარ, არ მასსოეს, რომ მამა ჩემს ერთხელაც  
არის ტებილათ გაეცეს დედაჩემისათვს ხმა. დედაჩემვი, სა-  
ცოდავი, სულ იმას ცდილობდა, რომ იმისთვს ესიამოვნე-  
ბინა და ეამებინა. რადგანაც ეფაქტებოდა დედაჩემს, რომ  
ვაითუ ეჯავრებოდეს ჩემს ქმარს ჩემი აქეთ-იქითსიარულიო,  
იმან მეზობლებთანა და საყდარშიაცი ამინიკეთა ფეხი, მაგ-  
რამ სულ ამაռ იყო: მამიჩემის შეცვლილი ბული ველარა-  
ფრით ცერ მოიგო. ერთის სიტყვით, იმას უკელა ეჯავრე-  
ბოდა დედაჩემისაგანა, ის სდევნიდა ყოველს იმის მოძრაო-  
ბასა და ნაბიჯსა. დედაჩემმა დაუწყო რიდება, მაგრამ მამა-  
ჩემი თავისის აღელვებულის გულით ყოველგანა სდევნიდა  
და ეძებდა ჩხუბის მიწებსა. „არა, რას მეტიდები, რომ მე-  
რიდები! სად გინდა დამემალო, რომ მემალები! — ჩაციდე-  
ბოდა ხოლმე ის უმიზებოთა, — შენ განა, შენი კუროების

მეტრი არავინ გინდა!... რით ვერ გაიგე, რომ მინამ არ ჩა-  
ძალლდები, მინამ ჩემის კელიდამ ვერსად წახეალ და ვერც  
დამემალები... სიკედილამდინ სულ ასრე უნდა თვალ წარმში  
შემომყურებდე... გესმის თუ არა! ტყვე ხარ შენ შენის  
ქმრისა, გეყურება... ეფრე ჩაგალრძობ ჩემს გვერდითა და  
ჩემს ყურებაში... ჩაგალრძობ!... გაიგონე!... გაცნობებ შე შენ  
თავსა, შენი ვინცა ვარ და რაცა ვარ!...“

„მე ამიღულდებოდა ხოლმე ამ ამბავზედ გული და უნე-  
ბურათ დაუიწყებდი ხოლმე ტირილსა, და რავი ვავიცლი-  
დით მამაჩემსა, ჩამოვეყიდებოდი დედაჩემს კისერზედ და მი-  
ვყვერებოდი შწუხარე გულზედა... ერთი ჩემი ცრემლილა  
ჰქონდა დედაჩემს ნუგემათა... ამ გვარს ჩემს დედიჩემის სი-  
კვარულს მამაჩემი, რახავირეველია, ჰქედავდა და, რაღა თქმა  
უნდა, არ მოეწონებოდა და ჩემი თავიც მალე შეიძულა,  
მაგრამ არცა მე მიჯდა ის თვალშია. ჩემი აღდგომა მაშინ  
იყო, როდესაც გაეიგულებდი მამაჩემს გარეთა. მე მძიულდა  
ისა და შემინოდა საშინლათა, ერთი იმისი დანახეა სულ  
ამირევედა ხოლმე გრძნობასა და ცნობასა... მაგრამ დედა-  
ჩემსკი უფრო აწუხებდა მამიჩემის გარეთ ყოფნა: ისა რჩე-  
ულობდა ცემასა და გინებას, ეიდრე გარეთ ყოფნასა. დედიჩე-  
მის გულში იძროდა და ღელდებოდა ის სიკეარულის ქუ-  
ნულობა, რომელიც ასრე ცხოველია შეყვარებულის ქალის  
გულში. როცავი პატარას დაიგვიანებდა მამაჩემი, დედაჩემი  
იდგა კარებმი და მოუთმენლათ გაპყურებდა მამიჩემის გზა-  
სა და იღამებდა ლოდინში თვალებსა. ეს, შე საწყალო დე-  
დაჩემის ლირდა იმ გვარი მხეცი შენს მაგ გვარს ცხარე  
სიკეარულსა!...“

„მამა ჩემი ხშირათ ორი სამი თლე იყო ხოლმე დაკარგული და ისიც როცა ღმბრუნდებოდა, ამ თავის დაკარგებას დედაჩემს აბრალებდა. შენის შიშით შინ ველარ დაებრუნდებულვარ თითო კვირობითა, რომ ეგება თავი ცოტაც არის მოვარიდო მეთქი... დღე და ღამე ძილი არა მაქუს თქუმნი გადამკიდე... შენა გგონია მე შენ ესეები შეგარჩინო!... დაიცადე, მოვიცლი შენთვისაცა.. ან შენ უნდა იყვე ცოცხალი, ან მე... თუ მე შენ ცოცხლივ არ ჩაგაძალლე და ჩაგალრძე, მაში რაღა კაცი ცყოფილვარ... მე ის არ გახდავარ, როგორცა გგონია!...“

„გაუჩუმდებოდა დედაჩემი ბრალი იმისი, არ გაუჩუმდებოდა და უარესს უშვრებოდა. გაჩუმებაზედ ჩაცივდებოდა გაჩუმდი? განა!... რატომ არას ამბობ, თუ შენ კარგი სული ხარ, განა ჰერძნობ შენს დანქმაულსა... ჰა!...“ თუ გადასუხებოდა: „გაჩუმდი! გაჩუმდი! — დაუბრიალებდა ხოლო მე თვალებსა, თორემ სულ ამოგართმევ ემაგ კბილებსა! ესთანა მართლულობ თავსა, რომ მართულობ!... მე არ გიცნობ რაც შვლი ხარ! სულ ვიცი შენი ამბები?..“ და აქ მამაჩემი ჩამოუთვლიდა ათასნაირს საყვარელსა.

ერთის სიცყვით, გისაცი როდისმე დალაპარაკებია, ყველას საყვარლებათ უხდიდა.

„საწყალი დედაჩემი მარტო ჩემშილა, ჰედედა ნუგეშსა, როცა გაიცლიდა მამაჩემს, ჩამიკრავდა გულში მტირალსა და ჩემზედლა მოიბრუნდებდა ხოლმე გულსა. „ნუ სტირი, შვლო. — მეტყოდა ხოლმე ისიც გულ აჩუყებული ჩემის ტირილითა, — ალბათ რომ ამის ლირსნი გიყავით და ლმურთმდე მოგვაგო...“

ჯერ მინამ სამსახურში იყო, ამ ყოფაში ვყვანდით მამა-  
ჩემსა და ახლა იფიქრეთ, რა დღე უნდა დაგვდგომოდა იმის  
სამსახურის გამოგდების შემდგომ, როდესაც სილარიბე და  
ნაკლებულობა ცალკე უმღვრევდა გულსა. თავისის ურიგო-  
ებისთვის სამსახურიდამ დათხოვნაც ჩუმბ დაგვაპრალა. „თქ-  
ვენგნით დამემართა, რაც დამემართა!“ თქუმბა რომ რიგიანი  
და ჩემი ერთგული სახლობა მყოლოდით, რათ მომიერდოდა  
ესა!... ოპი როდის იქნება ერთი თქუმბის თავს მოვრჩებოდეს!“

შემდგომ თავის სამსახურიდამ დათხოვნისა, მამაჩემმა  
ცოტ-ცოტათი შეაჩერა დედაჩემს კელი და დაუწყო ცემა,  
და ბოლოს ისე სცემდა, რომ სასიცედილოთ აღარა ზოგა-  
და, — სამართლისა რომ არა შინებოდა კიდეც მოჰკლავდა.  
„შენ რაღასა ღწავი უკანონოვ! — შემომიტევდა ხოლმე  
ის მე, როცა დამინახავდა დედის მწუხარებაზედ მტირალსა,  
გაჩუმდი? თორემ ემაგ ფანჯრიდამ გადაგისერი!... გესმის თუ  
არა!.. არა, შენ რა გულავს?!... შენ უარეს გიზამ, თუ ჩემს  
შესრუცვენლათ დედიშენის კვალს გაჰყები! მე გიჩვენებო  
თქუმბ, ტირილი როგორიც უნდა!...“

„ბოლოს იქამდინ გახელდა, რომ ცემასაც აღარ აჯერე-  
ბდა დედაჩემსა და ხშირათ ჩამოილებდა დამბაჩესა, ან ხმალ-  
სა და მისცემდა ხოლმე დედაჩემს გულში.. „მოკვდი! მოკვ-  
დი შე აძალლებულო, თორემ ეს არის ძალათი ჩაგალჩე,  
როგორც ერთი ვინმე პირუტყვი!...“

„აქ მეტი მოთმინება შეუძლებელიდა იყო და დედაჩემმა  
ითხოვა, რომ მოქმინებინათ ეს ქრისტული, მაგრამ მოუ-  
ვიდა უარი. ეს რომ მამაჩემმა გაიგო, უარესს დღეში ჩა-  
გვაგდო. ჩუმბი ყოფა თან და თან უფრო და უფრო

აუტანელი და სამძიმო შეიწნა. დედაჩემს, რომელსაც თავის დღეში ფრჩხილი არ წამოსტყოფნია, გამოაჩინდა ცოტ-ცოტა-თი სიმჟღვეე. სხუა უმარიჩემო კაცი, ახლა მაინც არის შეიმ-რალებდა და ისინიდისებდა, მაგრამ იმან უარესი უყო დე-დაჩემსა: ისა ხედავდა, რომ უსრულდებოდა გულის წაღილი და თან და თან უფრო უმატა თავის სიავეცესა:

„ათითქმის ერთი წელიწადი მეტი აღებინა დედაჩემს სის-ხლი და იტანჯა ამ საშინელს სიჭრეები; მაგრამ ამისთვის არა საღ წამალი, არსად ექიმი, არსად ნუგეში და ტებილის სო-ტყეის მოქმედი არ იყო; ტამბაჩისა და ამოლებულის ხმლის ქვეშ ართმევდა ქმარი მათრახთ სულსა უიმედო და უნუგეშოს, რომელიც საღმრთო ცხვარივით უდგა დამჟღავებულს სიკედილს კრიკაში და შელონებულის გულით ელოდა, როდესაც ის უუანასკნელათლა მოუკერდა იმას თავის დაუზოგავს ბრკუალე-ბსა... ჩუპნი მეზობლები, იმის, მაგივრათ რომ შეებრალები-ნათ, ნიშნს უგებდნენ დედაჩემსა, რადგანაც ამის მიუკარებ-ლობას აპრალებდნენ სიამპარტავნესა (ჩუპნი მეზობლების მო-მეტებული ნაწილი კელოსნობა იყო.) ახია მაგაზედა. — ეუბ-ნებოდნენ ერთმანერთს, როდესაც მე შევსტირებდი ხოლმე დედიჩემის მდგომარეობასა. მაგას ასე ეგონა აჩავის თავი დასკირდებოდა!.. ყველა ამპარტავნესა და გორობებს ადამიანს ეზრე დაემართება!...“ დედაჩემმავი მაშინვე იცოდა, რომ ასრე იტყოდნენ ამაზედ სხვები და როდესაც ვეტყოდი ხოლმე, რომ მეზობლებს შევატყობინებ მეთე, ის მიშლიდა და მე-ტყოდა ხოლმე, რომ ყველას თავისი დარღი აქტეს და სხვის-თვის თავს არ გიცეს ტელებენთ.

„ამ ყოფასა და ცხოვრებაში, როდესაც პირი საფლავისა—

კენა პერონდა, იმას კიდევ მე ვყვანდი სამწუხროთა. „ღმერთო, ვინ იქნება შენი პატრიათი! — ჩამიკრავდა გულში და მეტ-ყოდა ხოლმე ისა,—ვინ იცის, რა დღე მოგელის შენა!....“ დედაჩემი წინდაწინვე ჰერძნობდა, რომ მე მამაჩემი მამობას არ მიზამდა.

„როდესაც დედაჩემი სასიყუდილოდ შეწუხდა, მე გავექანე ტირილითა და შევარდი მეზობლებთანა, რომ ეგება ვისმე მე მაინც არის შეებრალებოდი და შემოექედნათ დედაჩემთან. ძლიერ ერთი ღუთის მიერი დედაკაცი შემოეიდა დედაჩემთან და რომ დაინახა იმისი საცოდავათ დამდნარი სახე, ის მა-რთლაცა და სიბრალულით მოუჯდა დედაჩემსა. დიდი ხანია დედაჩემი გადაეჩერა სხეის შებრალებასა და, როდესაც დაი-ნახა თავისთან გულის შემატევარი ადამიანი, მოუვიდა თვა-ლებზედ ცრემლები.

— ურიგო არ გახლდებათ, ბატონო, — უთხრა მეზობელ-მა დედაკაცმა, — რომ ექიმი მოგიყვანინოთ.

— არა ჩემო დაო, — უპასუხა დედაჩემმა, ეხლა ჩემთვს ტყუილია; მე სიკედილის პირიდამ ვეღარა მიხსნისრა... მე მხოლოდ ამას გეხვეწებით, რომ ჩემს მაშას ყური უგ-დოთ... არაერთ იცოდით, რა მწუხარებებში ეყიდვით და ჭართ... მე ეხლა მხოლოდ ჩემი მაშალა მყავს სამწუხარი, სხუა სა-სინაზულო სოცოცებლებში არა მაქტსრა და სიკედილი ჩემ-თვს სანატრელიც არის...

„აფ დედაჩემს დაუწყო სულთ ბრძოლა; ხმა ჩაუერდა, დაიწყო მძიმეო ქშინვა, თვალები გადმოუტრიალდა, სახე ეღრიცებოდა... მე ვაღევ თავსა, აზული, ვიმტკრევდი თა-ოებსა, ვიკვერდი ტუჩებსა..! და არ ვაცოდი რა მექნა...“

ამ დროს შემოვიდა მამაჩემი და, დაინახა თუ არა უცხო ადამიანი სახლში, აირია.

— ცერ გასძელ, რომ შენი ქმრობა ქუპუნისთვის ან შე-  
გეტყობინებინა! შეუტია იმან დედაჩემსა.—მე გთხოვთ,—მიუ-  
ზრუნდა მეზობელს დედვაცს,—რომ აშეს იქით ყური ან  
უგდოთ მაგის ფარისევლობასა და ტყლაჩუასა, თორემ სულ  
გადაგრევთ, ეგ იხრეთ ადამიანია.... მეორეც ესა, ჩუპნ ში-  
ნურს ხაქმები ვის რა კელი გვეჭს გასარევათა!...

„დედვაცი, გაწითლებული, მაშინევ გავიდა და გაეცალა  
მამაჩემსა, ერთი ესე წაიპურობურა კარებში: „ვაი შენი ბრა-  
ლი, ქალო, მაგისთანა ქმრის ხელში!“ და გავიდა.

— არა, რა გატირებს ერთი მითხარი!—შემომიტია მე: თუ  
დედაჩენი გენანება, შენც ზედ დაგავლავ... მე ჩემი ურჩიდა  
უსიამოენო არავინ მინდა... შენ ვიღას ატყუებ მაგ შენის  
ღრეცითა და კლავნითა!—მიუპრუნდა ის ახლა დედაჩემს:—  
ენ გინდა შეაშინო შეი ტყუილის გულის შელო-  
ნებითა!... რომ მართლა კვდებოდე კარგი იქნება; მაგრამ  
რომ არა ძალლდები!... კი ვეღარა დაეგვარა რა ამის სიცო-  
ხლესა და!...

„დედაჩემს ამოხდა რაღაცა საშინელი ოხერა.

— მოკვდი და რალა!—შეუტია მამა ჩემმა: ვიშ, კრაქტი,  
და ამ სიტყვებთან გაეიდა.

„დედაჩემს მოუმიტა მძიმე ქმინვამა; მერე უგონოთ გა-  
დმობრუნდა ჩემსკენა, მომჟიდა კელი, დამისეა თავითა და  
მომესვენა გულზედა. პატარას ხანს უკან გამომართვა ხელი  
და ჩაიდო მერებში. იმას ერთი კიდევ ამოხდა მძიმე ხვნება  
და დაუწყო სულთ ბრძოლა. თვალები გადაუტრიალდნენ,

ქიხერი და ხელები მოეშვენენ, გული საზარლათ უცემდა.

„მამაჩემი კიდევ შებოვეიდა და დაუწყო იჭვნებულათ ცეფ-  
რა სულომობრძანებულმა დედაჩემისა. ამისმა სახის სასიკუდალოთ  
ლრეცამ, გაღმობრუნებულმა უძრავმა თვალებმა, მოღუნე-  
ბულმა ასოებმა და ძლიერმა ძარღვების ცემამ დააჩწმუნეს  
მამაჩემი, რომ იმის მოძულებული ცოლი სწორეთა კვდე-  
ბოდა. მაშინ, ხოლოთ მაშინ გაიღვიძა მამიჩემის გულში სი-  
ნიდისმა და სიბრალულმა. ის მივიდა და მოჰკიდა დედაჩემს  
მაჯაზედ კელი. „ნინო!... მომიტევე... მე ვარ შენი მკლელი,  
უთხრა მამაჩემმა, და ამოუჯდა იმასაც გული.

„როგორც ეტყობა ის შესანიშნავი შენანება მამიჩემისა  
შეესმა მომაკვდაცს დედაჩემისა და ვინ იცის რა აგრძობინა  
გულსა. იმას მოუკვდა დახოცილს თვალებზედ ცრემლი,  
მაგრამ ამაռდ მოარიდა ცრემლი და თვალი იმან მამაჩემსა.  
უკრო გააზმორა საძაგლათა და დალია დედაჩემმა სულო.  
დედაჩემი როგორც საწყლად მოკვდა, ისრე საწყლათაც  
დამარხეს, მამაჩემი სტიროდა დამარხეაპედ.

„რაზდენისამე კვირის უკან შემგდომ დედიჩემის სიკუდო-  
ლისა, მამა ჩემთან დაიწყო სიარული ერთმა კუმაწეილმა  
ქალმა. ის არ იყო უჩივო სახისა, მაგრამ ზოგი მიმოხე-  
რა იმისი უმღვრევედა კაცს გრძობას, თუმცა ამგეარი  
გცევა ბევრს კაცს ძალიან მოსწონს. ის ქალი იცვამდა ახალ  
მოღურათ და მდიდრულათ. ამ ქალმა დაიწყო თან და თან  
შეირათ სიარული ჩუბისა და ბოლოს სრულებითაც  
დაეჭვიდრა ჩუბის სახლში.

„მამა ჩემი ერთ კვირემდინ თუ მეტნაკლებს ხანსა, მეპყ-  
რობოდა ტყბილათ. მას უკან კი დამიწყო ძველებურათ დე-

ენა და ჩემი თვალით დანახვა იმისთვის გულში ისარი იყო. აგრეთვე არ უყვარდი იმის სატრენი მეგობარს ქალსაც. „რა წუწი რამ არის ეს თქუმინი ქალია? ეტყოდა ხოლმე ის გაკაცებით მამაჩემსა.

— მაგის დედის შეიღო რათ იქნება კარგი-უპასუხებდა ხოლმე მამა ჩემი გესლიანთა.

„აი, ამ გეარს ცხოვრებამი ვიყავი მე მამიჩემის ხელში. არ იპოვებოდა ჩემს ბედზედ ადამიანის შეიღო, რომელსაც სცოდნოდა ჩემი მწუხარება და გულის პასუხი. მამა ჩემი, არამთუ არ მაძლევდა ვისთანმე მისება მოსელის. და მოყოლ-მოყოლის ნებასა და მეზობელს დედაკაცს რომ ჩემს კარებზედ გამოვლაპარაკებოდი, მაშინაც ცემით სულს მართ-მევდა. ჩემი ნუგეშნი იყენებ წიგნები, რომელნიც მამაჩემს თავის სიყმაწვილეში შეეძინა და ხელ საქმე: ჩემი, მამიჩემისა და ნადეას (ნადეა ერქვა მამის მეგობარსა) საყერავები.

„ამ ყოფაში მე დავყავი ერთი წელიწადი. ერთს ერთს მშვენიერს დილზედ მოვიდა ჩუპნისა ერთი პოლიციის ჩინოვნიკი და გამოუტადა ნადეას საჩივარი ასი თუმანის ვალისა, რომელიც იმას ემართა ამ ჩეკნი სან-ლის უმფროსის დედაკაცისა და, რომელიც დასდებოდა თავის ამ სახლში ყოფნის დროსა. ეს ვალი დასდებოდა იმას მამი ჩემის გულისთვის.

„ნადეას რაღა თქმა უნდა, როგორც სხუა იმ წოდების დედაკაცს, არა ჰქონდა ფული. მამაჩემს ხომ დიდი ხანია ამდენი ფული სხეისაც არ ენახა. ამ ვალზედ უარის თქმა არ შეეძლოთ, რათვანაც თამასუქი კანონიერი იყო. ამ დღეს, რაც ესეთი ორიოდე მანეთი ხელში ჩაუდეს, როგორც იყო

მოიშორეს თავიდამა ეს პოლიციის ჩინოვნიერი. გაეიდა რამდენიმე ხანი და პოლიციის ჩინოვნიერი კიდევ მოპრაბნდა, კიდევ მოიშორეს თავიდამა; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო სასტიკი ბრძანება მოდიოდა იმ ფულის გამორთმევისა. ერთს ლამესაც რაღაც ამბავი და ლაპარვი შეიქნა მამიჩემისა და ნადვას შეუა. ნადვა გაჯაერებული გამოვარდა მამიჩემის ოთახიდამა და მოაძახა კარებში. ურადგან თქუცი თქუცი ქალი უფრო ძვირათ გიღირთ, მაგ ეს თქვენი ქალი და ეგ თქვენა!.. კარგი, თუ კიდევაც მო გაგონე ჩემი თავი!.. ის გარისხებული გავარდა და გაიჯლანეუნა თან კარები.

„გაეიდა ერთი დღე, მეორე დღე, კვირე, მეორე კვირე და ნაჟა არსად არის. მამა ჩემი იყო ხოლმე მთელი დღეობით ხმა ამოუღებელი. ბოლოს იმან დაუწყო არაუს სმა და მინამ სეამდა, მინამ სრულებით უგონოთ არ შეიქნებოდა. მთერალი მოჰყვებოდა ხოლმე ტირილსა და წაიშენდა თავსა და პირში მუსტასა. მთელი დღე კვერცხოდა და ოხრამდა, და ეტყობოდა, რომრაღაც მძიმე და მოუსევნებელი მწუხარება აწეა გულზედა. მე დამიწყო სიბრალულით ყურება და მევიდებოდა ალერსითა...“

„ნადვა ჯაერზედ ხშირათ, ჩამოულიდა ხოლმე მამაჩემს კარებზედ ფაეტონითა სხვა და სხვა ყმაწეილ კაცებთანა. მამაჩემს ემღვრეოდა ამ ამბავზედ სისხლი და იტაცებდა ხოლმე მწარეთ ქოჩორში ხელსა და დაემხობოდა პირქვე. „ერთი კვირე შამაჩემი იყო გიფეითა და ას იცოდა რა ექნა. იმის გულში იყო რაღაცა საშინელი ბრძოლა და იყო რას წყალს შეუა. ბოლოს, როგორც ეტყობა, დასხალა თავის მოყვარეობამ შვლის მოყვარეობა...“

შერთხელ იმან უცებ წამავლო ხელი, წამისეა კალათში  
და დამიწყო ტირილით კოცნა.

„მე ვგრძნობდი, რომ რაღაცა მძიმე მწუხარება აწვა გურ-  
ლზედ მამაჩემსა, მე მებრალებოდა ის მწუხარებისათვა; მაგ-  
რამეთ ვერა ვბედავდი მეკითხნა, რა იყო მიჩეზი იმისის ას-  
რეთი მწუხარებისა... რა მომაგონებდა თუ ამ მწუხარებას  
მოზღვედა ჩემი უპედურება.

„მამაჩემმა ჩამიხუტა ბოლოს გულში, თითქო საუკუნოთ  
მესალმებაო, მაკოცა ცხარეთ შუბლში და წავიდა სადღაცა...  
საღამოზედ მომიტანა რაღაცა ქაღალდი, რომელზედაც წაუ-  
კითხავათ ხელი მომაწერინა და ისევ საჩქაროთ წაიღო...  
რა ვიცოდი მე უბედურმა თუ მე ამ ჩემის ხელმოწერით,  
ნადყას ვალში ვყიდდი ჩემს თავს, ჩემს ხორცს... საუკუნოთ  
უუბედურდებოდი... და ასე თუმანს სხეის ცალსაც კისერზედ  
ვიღებდი.

„ერთს ორს საათს უკან მოვიდა მამა ჩემი და თან მო-  
ჰკუანდა ნადყა და ეს ჩეცნი გასიებული, ეშმაკული, სახლის  
უფროსი დედაცაცი, რომელიც მაშინვე მეზიზდა გველზედ  
უარესათა.

„დამინახა თუ არა ამ დედაცაცი, თეალებმა შეუთამაშეს  
და გამოჰკრა ტაში. „უფ? რა ლამაზი რამა ყოფილა!... ისე  
შევინახავ მაგასა, როგორც ჩემს შკლსა?..“ და ამ სიტყვე-  
ბის გათავებაზედ იმან მაკოცა ალერსით შიგ შუბლში, რო-  
მელიც როგორც საწამლავ მოცებული, ისე მოვიწმინდე  
კაბის სახელითა.

— ეს გახდავთ ჩემი ქაღი!... გოხოვთ ვარგათ შემინა-  
ხოთ ჩემს მოსელამდინ, — უთხრა მამა ჩემმა გასიებულის

დედაყაცა:—მე რუსეთს მივდივარ, მშავ,—მომიბრუნდა ახლა  
მე მამაჩემი!—და მინამ დაებრუნდებოდე, ამას ებარები... კა-  
რგათ მოგივლის და შევინახავს...

„აქ მამაჩემმა უნებურათ ამოითხრა და ამ ოხერაში სუ-  
ლა სჩანდა იმის სიტყვებით სიყალბე და სინიღისის საყვე-  
დური, თუმცა კიდევ ვერცარას ფიქრს მაშინ მოვიდოდი...  
ყველა რომ მეფეერა, ამას მაინც ვერაოდეს ცერ ვიფიქ-  
რებდი, რომ მამა შვლს გაიმეტებს მისაცემათ ამისთანა გა-  
საუპატიურებელს და . . . სახლში.

„გამოსალმებაზედ მე დავიწყე ტირილი... მენანებოდა მა-  
მის დაშორება, რომელიც ცოტა არ იყო თან და თან შე-  
მიყვარდა ბოლოს დროს, როდესაც იმან დამიწყო ალერ-  
სითა და სიბრალულით ყურება. მამაჩემმა დაიწყო ტირი-  
ლი... ვინ იცის მაშინ რას ეუპნებოდა ამას თავის სინიღი-  
სი!... ის, რა თქმა უნდა, აგრძობინებდა თავის დანაშაულსა  
იმისგნით მოკლულს ცოლთან, და ასრე უპატიურათ გაყი-  
დულს შვლთან...

„მეორეს დღეს მამაჩემი თავისის ნადეათი წაეიდა რუ-  
სეთში, და მე მამიყვანა ამ დედაყაცმა.....“

ექვემდებარებული მის მიზანი და მის მიზანი და მის მიზანი

— აქ მოუფიდა იმას ტირილი, დაემხო პირჭევე და მიიფარა  
თვალებზედ კელი.

მე იქნება არ დამეჯერებინა ეს ამბავი, მაგრამ ესრეთის  
სისწრავლითა და ტანჯვეით ამპოპდა ის ამ ამბავსა, რომ  
რაც უნდა ურწმუნო კაცი ყოფილიყო, უეჭველათ ერწმუ-

ნებოდა ამ სამწუხარო ამბავსა. მე საშინლათ შემებრალა  
მაშა. მე ჩაეფიქრდი და დამიწყო ათას ნაირმა ფიქრმა თა-  
ვში ტრიალი. მე დიდხანს ვიყავი ასრე დაფიქრებული.

— რას ჩაფიქრებულხართ? — მკითხა უცებ მე მშამი: — მე ვი-  
ცი თქუმნ არა გჯერათ ჩემი ამბავი; მე ვიცი რომ დაუ-  
ჯერებელია ეს ამბავი... მაგრამ გარწმუნებ, რომ ამ ყოფში  
ჩაგარდნილი ქალი ძვირია უმიზებოთა... რომელსაც გინდა  
ჰყოთხე ამ ჩუმნს სახლში მყოფს ქალსა და იმათვან გაიგო-  
ნებთ იმისთანა სამწუხაროთ თავს გადასავალებს, რომელნიც  
ამჩენდ ნაკლები სამწუხარონი არ არიან... მაგრამ ბევრნი  
მალე ეჩვევიან ამ ცხოვრებასა... იმათ აღარ ეწუხებათ და-  
კარგული პატიოსნება... მევი არ ვიცი როდის შევეჩვევი!...  
მგონია არც როდის... და ნურცა ჰქნას ღმერთმა... როგო-  
რც იქნება და როდისაც იქნება გადაეიხდი ჩემს ვალს... და  
მასუკან სულს მაინც არ წავიწყმედ, თუ ხორციელათ აღა-  
რა მაქუს პატიოსნების სახელის იმედი... როგორც იქნება  
მოენანებ ჩემს ცოდნისა....

— ბევრია თქუმნი ვალი კიდევა? — ვკითხე მე.

— იქნება კიდევ სამოც თუმნამდინა.

— დავიჯერო აქამდინ ორმოც თუმნამდინ მეტი ვერ  
გადიხადეთ?... თითქო ბევრს ფულს უნდა ილებდეთ, და...

— განა მეტს არ გადვიხდიდით, მაგრამ ისეთ ნაირათ  
უჭირავს საქმე ჩუმნს უფროსს დედავაცს, რომ მესამედ ფუ-  
ლსაც არ გვაჩვენებს თვალითა და დანახარჯს ერთი ხუთათ  
გვიანგარიშებს....

— უჩივლეთ.

— მაშ გეტყობათ თქუმნ ჯერ საჩივარში გამოცდილი

არა ხართ!... მერე ჩუბი ვინ გვიგდებს ყურსა... აი უფრო  
ერთი ლრათ მეტს სირცხვილსა ვჭამთ...

— დაციჯურო თქუბინ არაფისთვს გითქვამთ თქუბინი ამბა-  
ვი, — გავაწყვეტინე მე სიტყვა. —

— როგორ არ მითქრამს და კიდეც შემიტირნია, მაგრამ  
სიცილათაც არაფის ეყო... ანუ ვის რა ენაღვლება!... თა-  
ვის სურვილს რასაც დროს უნდათ ფულით შეისრულებენ  
და სხვა რა დარღი აქუთ... ყველა მარტო თავის დარღვა  
სწუხს...

მე კიდეც ჩაეფიქრდი... ეფიქრობდი, თუ რა ლონით შე-  
ძლებოდა ამისი აქედამ გამოხსნა; მე არა შეონდა სრულყო-  
ბით არაფერი ლონისძიება, მე მაშინვე გამოელვა თავში სკო-  
მოჩა, მაგრამ არ ვიცოდი ის დაიჯერებდა ამ ამავს თუ  
არა... ან ისიც ძმოვიდა სამოც თუმანსი... მამაზედ ბევრი  
იმედი არ იყო რომ ამოდენა ფული გამოიტანა, და მეტა-  
დრე თუ იმასაც გაიგებდა რისთვისაც უნდოდა იმას ის ფუ-  
ლი!...

მაშა ჰერძობდა, რომ მებრალებოდა ისა და მართალის  
გულით შეუდექი იმის მწუხარების ფიქრსა. მართალი —

— ფიქრი ნუ გაქუთ! — უთხარი ბოლოს მე, სადაც იქნე-  
ბა და როგორც იქნება ვეცდები თქუბის აქედამ გამოხსნას  
და თუ მოვახერხე, დარწმუნებული იყვეთ, რომ პირველი  
ჩემი საქმე ყველა იქნება... მართალი მართალი ცისაკო.

— გაგრევი? — უცებ შემოტახა მე კარებიდამ, სეიმოჩა.  
თურმე კიდეც გათენებულიყო ჩუბის ლაპარაქი... და მე ისევ  
ახალი დალამება მეგონა. მე მენანებოდა მშას დამორჩება:  
უნდა გავსტყდე, რომ მე პირველთ შემეარღონ კაჭლიერდ ას-

რე თვალი და პირველათ მიგრძენია ამ გვარი სიბრალული  
ადამიანისა... რომ შემძლებოდა, უკანასკელს სერთუქს დავა-  
გირავებდი, გამოვისწიდი და, ვისაც რა უნდა ეთქო, შე-  
ფირთავდი... მაგრამ მე ესეც დიდათ სასიამოვნოთ მექ-  
ნებოდა, თუ სეიმონიც არის გამოიხსნილა იმასა.  
— ეხლავ! — შეეძახე მე სეიმონსა და წამოვდექ გამოსასა-  
ლმებლათ.

— მიდიჩართ? — შეითხა დალონებით მაშამ.

— მიედიგორ და იქნება ღმიერთმა ინებოს და კილევ ვა-  
ლე უფრო სხუა ფრევა ვნახოთ ერთმანერთი. მე უშეველათ  
იმედი მექნდა, რომ სეიმონი უშეველიდა იმას.

— შე გამოვალე კარი და წამოველ. მაშას ქეითინი შემო-  
გვესმა.

— ოჰი! — შეეძახა გაკეირვებით სეიმონმა: — მენ მალე დაგი-  
თესია ტრფიალების ალი!... აი რა არის უმანქოება კაცისა;  
ჩემი კიდევ უხაროდა, რომ მოვდიოდი...

— არა, აქ სხუა ანგარიშია! — და მე უნებურათ ამოვიო-  
ჩნე...

— ვა! ვა! თქუმინ ალარა პეტერბოტი!... აგრე მალე გა-  
მიჯნურება!... აქ გეუბნები, რომ შენ ჯერ ისევ ხოლ ხა  
შეთქო!... შენ რომ სხუა ქალებში ყოფნა შეგვხდეს, მაშინ  
რა გრეველება!... უნ ის რეც სა ამა უნდა იყვინს იყვინს

— ჯერ გაჩეც შენცა რა ამშავია, — ველავარია მე  
გზაში, და მემზე ისე დაიწყე ლაპარავი.

— განა არ ვიცი რაც ამბავთა გული გულის ხლაგს  
ალარა გაქუს!...

— შენ კიდევ შენსაც არ იშლია. იქნება არის მიჩეჭი,

რომ გული გულის ალაგას აღარა შევტა... .

— ფიცი უმიჩეზო არ იქნება: ფერ უმარილი ბლობათ ექნებოდა წათხუპნული და გუნდა და ბასმა ედებოდა დაუზოგველათ, — შენ ყველა ნანდეილი სილამაზე გეგონებოდა და მეტიც აღარ გინდოდა.

— ეგ არის! რაკი შენ ერთი შეტოპამ, კაცი ველარც და-გახევინებს... რით იცი, რომ სწორეთ ეგ აგრე იყო!...

— მე რომ გიცნობ,— იმითი ვიცი და ის მაფიქრებინებს..

— ეჭ, რას გელაპარაკო!.. ჯერ საქმე არ იცი და აფი-სირებია...

— მე გაეჩუმდი და აღარა უპასუხე ამის მეტი არაფერი. მე გული მეღრინებოდა იმის ასრეთს ლაპარაკედა: ჩემი იმე-დი ის იყო, ის თუ უშეველის რასმე იმ საცოდეს ქალსა მეთქი და იმან არცარაფერი კი მათქმევინა!... მე თუმცა იმედს არა ვეარგავდი სეიმონზედა... მაგრამ რაკი გულზედ სეედათ არ მაწვა ეს ამბავი, მინდა მალე მეთქმა სეიმო-ნისათვს და მსწრაფლად შემეტყო იმისი აზრი, და ისკი ასრე უდროეოთ და უალაგოთ სასაცილოთ მიგდებდა მეცა და ჩემს მწუხარებასაცა.

დავბრუნდით თუ არა შინა, სეიმონ მაშინვე დაწვა ქვე-შაგებში და დაიძინა. მე ისრე ტანისამოსით დავეგდე და მივეცი მაშაზედ ფიქრსა. ამ ფიქრში მეც დამძინებოდა.

ათი საათი იქნებოდა თითქმისა, როდესაც სეიმონმა გა-მაღვიძა. ის იყო, როგორც სჩინდა, კარგს გუნდაზედა.

მე ძალიან დასუსტებული ციყავ, ცუდათ მეძინა და ცო-რა არ იყო კიდეც შემციროდა.

— შენ ძალიან დათენთილ ხარ!... ხომ არ გიხამა? — მყი-

თხა მე სეიმონმა, რაუი ცუდს ფერზედ დამინახა..

— არა, და ასაცა პფიქტობ, ის ხომ ფიქრათაც არ  
მოშელია... შენ სიცილათაც არა გყოფნის, მაგრამ საშინე-  
ლებავია, რაც მე წუხელის ჩემი აზეული ქალისაგან გაეი-  
გონე... შენ იქ აღარ იყავ, როდესაც ის მოვიდა.. მე არ  
მომწონებია ისრე ქალი.... ისრეთი უმანკო სახე და სახის  
შეტყველება ჰქონდა, რომ მე უნებურათ მომინდა იმ ქალის  
გაცნობა და იმის ამბის შეტყობა, თუ რა მიზეზით ჩავარდა  
ის იქა.

— უმიზეზოთ სხვა ეინ ჩავარდნილა იქა, რომ ეგ ჩავა-  
რდნილიყო, მაგრამ რაუი ერთი ჩავარდებიან ხოლმე მანდა,  
მასუეან უტკბებათ და აღარ ნდომობენ, თუნდა შემთხვევაცა  
ჰქონდეთ სხუა რიგს რიგიანს ცხოვრებისა.

— არა, ეგ პირ იქით, უნდა გაჩევნა რა მწუხარებით  
ამბობდა თავის ამბავსა.. გული მომცველა, მე რომ იმას  
ყურს უგდებდი.

— ეზ კეთილი, რომ კაცი გებრალება, მაგრამ იმისის  
ცრემლით რომ მოტყუებულ ხარ ეგ არაფერი მოსაწონია..

— უნდა გაიგონო შენ იმისი ამბავი, რომ მშინ აფრე  
აღარ იტყვი.

— თუ! ბევრი ამბავი გამიგონია, მაგრამ ერთი შებრა-  
ლების მეტი იმ პირებისა; რომლებისაც თავს ის უბედურე-  
ბაები მომხდარან, მეტი ან გამწყობიარა და შესაბრალისნიც  
ამით უფრო არიან, რომ თითონ აღარა გრძნობენ, ან  
უკეთა ვსთეჭათ, ვეღარ დარევიან თავის თავსა, რომ სხუა  
ვარგის ცხოვრებისათვის იზრუნონ.

— კიდევ ეგ არის სამწუხარო და იმითია შესაბრალი,

რომ ისა ვრძონს თავის მდგრმარეობასა, უნდა იმ ყოფილამ თავის გამოხსნა და იმისთვის მდგრმარეობაშია დაყრებული, რომ კურ გამოუხსნა თავი... უნახეინარ ხამი კაცი და უთამშებინარ... მა ცალილო ცალი ახალი წე შე... ცალი მე პრიზი მოტივიდა. ისეთი მარტინი და ცალი ისეთი მარტინი მენ დღეს ისეთს გუნებაზედა ხარ, რომ თითონ არ იყო რას აწმობა!... კა ამას მინა და ამას — თბილი! რა ძელია სახმილის ალი!... მაშ ძალიან, მოგდებია აა!

— ვერ გამოგვა—დღეს რა გუნებაზედა ხარ შენა? ისეთი  
— ტრუიალს გულს აგრე ქერენება, თორემ მე კარგს გუნებაზედა ვარ... თბილილო მარტინი ალი ცალი დღეს დათბოლე  
— ერთის სატყვით შენთან ლაპარაკი შეუძლებელი შეიქნა!..  
— რომ გეუბნები შეისწავლე კაცის ბუნება, ადამიანის თვისება, ცხოვრება, გარემოება.. აი, ემაგისათვის არის საჭიროობა, რომ გაგრები მალე შახში ალარ გაებმი, ადამიანის ცხოვრება ციხე და იერიშია: ყველა ერთ ერთმანეროს ადგია და ერთი ერთმანეროს ებრძეის, ატყუებს, და ცდილობს დაიპყრინ ერთმანერთი და ბრალი გამოუცდელისა და უცოდნელისა! ნამდე ნამდე იმინი იმინი მონა —

— ეგვიპტი ფილოსოფიი შენთვის შეიჩანე. ნი იტე მინდე  
— მე შენახულიცა მაჟუს და დამარხულიცა გულში, მაგრამ დარცი გაწყენს, რომ იცოდე და გახსოვდეს ცეს ურდისმსოფინა... ასეთ მიერ შეცემოთ ძალა რაც ისოდეს და

— მე კიდევაც გეტყვი, რომ შერ არ იცი მე რას ჭამბობ და გაუცებიც ლაპარაკ... თუ დიდი რამ მიზეზი არა

ყოფილიყო, ანუ ასწერ თავს შევიწუხებდი... შეწუხებულს, მართალს, უსამართლოთ და უღმრთოთ დასჯილს აცხა ეხედავ დაუკვის გული ხომ არა მავის, რომ არ შევისრა-ლოა... ქადაგის მა ის იურიდიკურის არამატ ჩას

--შებრალებაზედ ვინ გეუბნება, --შეიბრალე, მაგრამ თავიც გახსოვდეს...

მე კიდევ რაღაც უნდა მეთქუა, მაგრამ სეიმონში აღარ მაცადა: წამოაელო ქუდა და წავიდა.

მთელი დღე სეიმონი არ შემოსულა შინა. მე უფრო და უფრო მაბრაზდებოდა გული: ეს ერთი კაცილა მქონდა იმე-დათა და ესეც ასრე ლაპარაკობდა. მე კიდევ უურო იმზად მიბრაზდებოდა გული, რომ ვინ სეიმონ და ვინ ასრე უგუ-ლოთ ლაპარაკი კაცის უპედურებაზედ. მაგრამ ესიყო უბე-დურება, რომ ის ყურსარ უგდებდა. ჩემს დაპარაკება და როგორც სკვები ენახა, მაშაც ასეთი წევოდნენ.

დავწექი, რომ სეიმონი ჯერ არ მოაულისყო, დაღალულს ძალიან ღრმად დამეძინა. მთელი ლამე ხულ მაშას ამპავი მესიზმრებოდა. ხანა ეხედავდი, რომ მამა ჟუბლიჩინი ტორ-გითა ჰყიდდა იმასა; ხანა ეხედავდი იმის დედასა, რომე-ლიც საკეირელათ ჰგავდა მაშასა, რომ ქმართ ხინჯლითა ად-გა და სურიდა ყელსა. ენახე სიზმარში, ვითომც ბევრი ფუ-ლი მეშონა საღლატა და მაშში ვაძლევდი იმის სახლეს უფროსს დედაკაცს და ვისხნილი მაშას. ხან ეხედავდი მაშას მამასა, რომელიც ტიროდა და ეხევწებოდა მაშასგან რომ მომიტევეო.... კიდევ ვინ იცის რა არ მესიზმრებოდა. მეიდი საათი იყო, რომ გამომეღვინა დაზღლის მოვედი ფიქრსა; ასრე მეგონა ისევ სიზმარში ვარ მეთქი.

— სვიმონ სად არის? — კითხე მე გოგიას, რომელიც შემოიპარა ფეხის ფჩხილებზედ წალების გასატანათა.

— ის წუხელა ძან გეიან მეყიდა. — მიპასუხა გოგიამ: მაგრამ მისთანა აშეოთებული მე ის არ მინახავს. რაია მის თავს, ხომ არ მოგეხსენება?

— არ ვიცი... ხომ ავათ არ არის? ...

არა მგონია, ისტუა რაღაც მის თავს... ვორი საათი მეტი ბოლთას კრავდა და ლაპარაკობდა ხან ქართულს, ხან რუსულს და ხან რას... ძან გაშეოთებული რასმე იყო.

— არ ვიცი! — უპასუხე კიდევ და შევედი ფიქრში, თუ რაზედ უნდა ყოფილიყო, ის ისრე დაფიქრებული.

— ეგ ძან ახირებული კაცია, — დაიწყო კადევ გოგიამ, — არეის დაზოგეა არა აქუს; სუყველა არ მოსწონს, სუყველას დასცინის, აგინებს... თავიზედ დიდი არ მიაჩნია. არავინ; ვინც არ მოეწონება, არაფრათ აგდებს, სუყველა დიდი კაცი გედიდა და ჩემისთანა გლახა კაცს ეპყრობა მოკეთეთ ... რაფა კეთილს ნახავს ეგ... მე წუხელი ძან შემინდი... ეგ მისთანა კაცია, რომ არც თავს დაზოგავს... ვაითუ ცოდნში ჩაგვაყენოს მეთქი...

— რა ცოდნში! რას ამბობი! ...

— იმე! რა ვიცი! რაღაცა ფრანცული კაცია... მის დღეში არც ლოცვა იცის, არც ხარი; სამთელს ეკლესიაში ერთხელ არ აანთებს... და აპა ეშმაკი ძლიერია... ვინ იცის რა ჩაუდის მაგას გულში.

— ფიქრი ნუ გაეტს, გულში არას ჩაუდებს... უთუოთ სხვა რამ მიზეზი იქნება. მე შევტყობ, თუ ერთი მალე გამოილება.

— კი, კაი იქნება... თუ უნ ქე არ დევიმალავთ...  
გოგია გავიდა.

მე კიდევ დაუიწყე ფქრი, თუ რა მიზეზი უნდა ყოფილ-  
იყო სეიმონის ამ ამბავისა.

ათის ნახევარი იყო, რომ სეიმონმა გამოშალებისა; ის მე-  
ოთხე საათზედ დაწოლილიყო დასაძინებლათ; ის მაშინვე ჩი-  
მთან შემოვედა პერანგა.

— მართლა რა ლამაზი რამა ყოფილა! დამინახა — თუ  
არა, შემომძახა იმანა.

— ვინა? — ვკითხე მე, თუმცავი მიეხედი, რომ უთუოთ  
მამას ამბობს მეტი.

— შენი ნაქები მშეა! — და აქ გაიქ-გამოიქნია სეიმონმა  
თავი.

— მერე შენ რა იცი?

— მე იქ ვიყავი წუხელისა. ორჯელ მივეღი და ვერც  
ერთხელ ვერ მოესწარ შინა, სხურავ წაეყვანათ; მესამეთ  
ძლიეს მოვასწარ... ჰმ! მამა! მამა! ის რომ ამბათ დასწრებოს  
კაცმა, არ დაჯერებენ: ტყუილი მოგონილიათ... მე ბევრი  
შემხვედრია მაგვეარი თჯახის პატრონი კაცი... მაგრამ ეგ  
მეტის მეტია... მამა იმ გვარათ, ემისთანა შშეტნიერს სა-  
ხით, თუ ზნეობით შკლს ჰყიდის იმ გვარ გასაბილწავათ და  
საუკუნოთ დასანთქმელათ... ჲი კტცის ცხოვრება... ძლიერ  
არიან გულის თქმანი კაცისა და არა აღუდგეს მას ხმა  
სინიდისისა! ამბობს, არ ვიცი საღმრთო წერილი, თუ სხუა  
რაღაც წიგნი... ძნელია, თუ კაცი იმა სიყმაწვილიდან არ ის-  
წავლის თავის ზნისა და გულისთქმის შეკავებასა.. ვინ იცის,  
რა რიგათა კვდებოდა მამის გული ამ გვარათ შკლის გას-

ဖိုလောင်္တာ၊ မာဂ်ရာမိ ဒေါ်လာ၏ ဖျော်ဖွံ့ဖြိုးစာ တာသေခါ နှမိန္ဒာရီ ဂျု-  
လီစ တျော်မာ.

— တောက် ပုံလီ လောက်လာ မြေကျော်မှု? — ဒုက္ခတ်စာဒေါ် မျှ  
